ცნობის ფურცელი

№ 1756 ყოველ-დღიური გამოცემა 1896—1902 ორშაბათი, 18 მარტი № 1756

გაზეთი ღირს: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კონტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათზე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 372.

ყოველ დღიური გაზეთი

„ცნობის-ფურცელი“

სურათებიანი დამატებით

1-ლი მარტიდან წლის დამლევამდე ტფილისში დარიგებით და ქალაქ გარეთ გაგზავნით (რუსეთის იმპერიაში) ღირს 5 მან. და 25 კაპ. (კაპეიკები ფოსტის მარკებათ შეიძლება გამოიგზავნოს).

ადრესი: Тифлисъ, редакція «Цнобисъ-Пурцели» (Большая Ванкская ул., домъ Мартирузова).

ტფილისის
კერძო სამკურნალო
მიხეილ გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა

დ ი ლ ი თ:

ვ. ი. ჭიჭინაძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

მ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 9—10 საათამდე. ხუთშაბათს და შაბათს გარდა.

ი. ვ. ფეოდოროვი—შინაგანი და საბავშო 9—10 საათამდე.

გ. ზ. მაღალაშვილი—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით და ხუთშაბათობით.

ვ. დ. ლამბაშიძე—შინაგანი 10—11 საათამდე. სამშაბათობით და ხუთშაბათობით 1—2 საათ.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—12 საათამდე.

ნ. ტ. მულინი—ყურისა, ყელისა და ცხვირის 10—11 საათამდე.

ქ. მ. ელიოზიშვილი—შინაგანი და ბავშვების 11—12 საათამდე.

ა. ზ. ბარსუკოვი—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 12—1 საათამდე.

დ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი 12 | 1 საათამდე.

გ. მ. ამბარდანოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი 1—2 საათამდე.

სტ. ალ. ვოინო—ხირურგია ორშაბათობით, ოთხშაბათობით და შაბათობით. 1,—2 საათამდე.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი 5—6 საათამდე.

ა. გ. მაღალაშვილი—შინაგანი და ბავშვების 5—6 საათამდე. (მიკრო-ქიმიური გამოკვლ.)

გ. ს. დავიდოვი—შინაგანი და ბავშვების 7—9 საათამდე.

გ. მაღალაშვილი—კვირაობით, 10—12 საათამდე.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები და კრაოტები მორიგებით. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაძლისა, № 21. (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ). ტელეფონი № 274. (წლ.)

ე ქ ი მ ი
ალექსანდრე გიორგის ძე
მ ა ღ ა ლ ა შ ვ ი ლ ი

იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და საბავშო სნეულებით ავადმყოფებს დილით 12—2 საათამდე და საღამოთი 4—5-მდე. მიიღებს აგრეთვე საქმეთ: ქიმიურ, მიკროსკოპიულ და ბაქტერიოლოგიურ გამოკვლევათა. ოქრო-მჭედლების ქუჩა, № 40, თუღლაევის სახლი.

ე ქ ი მ ი
ვახტანგ ლამბაშიძე

შინაგანის და საბავშო სნეულებით ავადმყოფებს იღებს დილის 9—10-მდე და საღამოს 5—7 საათამდე. რეუტის ქუჩა № 24
ტელეფონი № 642.

ქ. ბ ა თ უ მ შ ი
იყიდება გაზეთი „ცნობის ფურცელი“
სპ. ჭელიძის წიგნის მაღაზიაში, შერემეტიევის ქუჩაზე, ნურიის ბაზარში, სასწორის პირდაპირ.

მთავრობის განცხადება

„პრავიტ. ვესტნიკ“-ში დაბეჭდილია:

„იმ მღელვარებამ, რომელიც უკანასკნელ წლების განმავლობაში ჰსუფევს რუსეთის უმაღლეს სასწავლებელთა სტუდენტებს შორის, 1901 წლის დასასრულიდან მთავრობის საწინააღმდეგო ხასიათი მიიღო. წინად სტუდენტები თხოულობდნენ სასწავლებელთა წეს-რიგის შეცვლასა; აღნიშნულ დროიდან კი ისინი ამით აღარ კმაყოფილდებიან: მათი ხელმძღვანელნი აკრძალულ კრებებზე სიტყვების წარმოთქმით და მრავალ პროკლამაციების გამოცემით ცდილობენ ახალგაზდობის მოძრაობას პოლიტიკური მიმართულება მისცენ და საჯაროთ აცხადებენ, საჭიროა არის შეიცვალოს რუსეთის მართვა-გამგეობის წესწყობილებაო. ამასთანავე ამ მოძრაობის ხელმძღვანელნი, რა-კი იციან, რომ მარტო მოსწავლეთ ძალა არ შესწევთ განახორციელონ ხსენებული განზრახვანი, არსებულ სარევოლიუციო წრეებთანა და ჯგუფებთან ერთად ავრცელებენ მთავრობის საწინააღმდეგო მოძღვრებას საზოგადოებაში და დიდ ქალაქების მუშათა შორის, როგორც სიტყვით, ისე სხვა-და-სხვა ფარულ გამოცემათა საშუალებით. თავის მისწრაფებათა გამოსაცხადებლად აგიტატორებმა საუკეთესოდ მიიჩნიეს ქუჩებში დემონსტრაციების მოხდენა, რაც კიდევაც სცადეს სხვა-და-სხვა ქალაქში.

ამგვარ დემონსტრაციის მოსახდენად მოსკოვში არჩეულ იქმნა ამ წლის 9 თებერვალი. მაგრამ მთავრობას დაწვრილებითი ცნობები მოუვიდა ამის შესახებ და დანიშნულ დღემდე დატუსაღებულ იქმნა 47 კაცი, რომელიც მოთავეობდა და ამზადებდა განზრახულს დემონსტრაციას და რომელთაც კიდევაც შეედგინათ ერთ-ერთ ფარულ კრებაზე დაწვრილებითი გეგმა დემონსტრაციისა. ამ ღონისძიებით მთავრობამ საკმარისად შეამცირა მოსალოდნელი დიდი უწესოება, მაგრამ სულ ვერ აიცდინა თავითან და 9 თებერვალს მოსკოვის უნივერსიტეტში კიდევაც მოხდა უწესოება, რომლის ამბავი უკვე გამოაცხადა საერო განათლების მინისტრმა.*)

შემდეგ ამისა, 15 თებერვალს, მოსკოვის სატეხნიკო სასწავლებლის სტუდენტთა წრემ, რომელმაც სახელად იწოდა „აღმასრულებელი კომიტეტი“, გამოაცხადა: ვისაც ჰსურს მთავრობის წინააღმდეგ პროტესტის გამოცხადება, 17 თებერვალს ნაშუადღევის 2 საათზე მოვიდეს პუშკინის ძეგლთან, საიდანაც დაიწყება დემონსტრაციაო. აღნიშნულ დროზე პუშკინის ძეგლთან შეგროვდა ხსენებულ სასწავლებლის სტუდენტთა წრე, შეუერთდა იქვე მყოფ სხვა ჯგუფს და დაიწყეს თათბირი დემონსტრაციის დაწყების შესახებ; როგორც კი დაიძრნენ დემონსტრანტები ადგილიდან და გაემართნენ „ნიკიტინსკი ბულვარისაკენ“, მათ შემოეხვია პოლიცია და შეაკავა; ამასთანავე დატუსაღებულ იქმნა 11 კაცი, რომელთაც ეუნახეს წითელი დროშა მთავრობის საწინააღმდეგო წარწერით.

როდესაც მთავრობა იხილავდა საკითხს ამ უწესოებების მონაწილეთა დანაშაულობის შესახებ, მან მხედველობაში მიიღო ყველა გარემოება და გადასწყვიტა ისეთ მდგომარეობაში ჩააყენოს დამნაშავენი, რომ აღარ შეეძლოთ სარევოლიუციო მოღვაწეობის გაგრძელება; ამისთვის განზრახული იყო ყველანი გაეგზავნათ იმპერიის შორეულს ადგილებში დროებით პოლიციის მხედველობის ქვეშ საცხოვრებლად. ხელმწიფე-იმპერატორმა, როდესაც მოახსენეს ეს ამბავი, კეთილ ინება და ბრძანა: ირკუტსკის გუბერნიაში გაიგზავნონ მხოლოდ უმთავრესი დამნაშავენი, დანარჩენებს კი მიესაჯოთ ციხეში დაპატიმრება 3 თვიდან 6-მდე.

ამის მიხედვით უმაღლესმა მთავრობამ გადასწყვიტა: ხსენებულ დემონსტრატებიდან 95 კაცი, რომელნიც პოლიტიკურად არა კეთილ-საიმედონი არიან და რომელნიც მოთავეობდნენ დემონსტრაციას, იგზავნება ირკუტსკის გუბერნიაში 2-დან 5 წლამდე; 567 კაცი დაპატიმრებულ იქნება 3 თვიდან 6-მდე; 6 კაცი პოლიციის მხედველობის ქვეშ იგზავნება დედ-მამისა ან ნათესავების საცხოვრებელ ადგილში, ხოლო 14 კაცის შესახებ საქმე მოსპობილია.

ეს დამნაშავენი არიან: 537—მოსკოვის უნივერსიტეტის სტუდენტი, 32—მოსკოვის სატეხნიკო სასწავლებლის სტუდენტი, 13—მოსკოვის სამეურნეო ინსტიტუტის სტუდენტი, 3—მოსკოვის საინჟინერო სასწავლებლის სტუდენტი, 1—აღმოსავლეთის ენების ინსტიტუტის სტუდენტი, 7—სამიჯნო ინსტიტუტის სტუდენტი, 55—სხვა-და-სხვა კურსების სტუდენტი-ქალი, ხოლო 34 არა მოსწავლე სხვა-და-სხვა წოდების ქალი და კაცი.

ვისაც დაპატიმრება მიესაჯა, ისინი უმთავრესად არხანგელსკის დროებითს საპატიმროში გაიგზავნებიან“.

---

*) იხ. „ცნ. ფურც.“ № 18 იანვრის

ახალი ამბავი

◆ 16 მარტს კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველმა აცნობა ტფილისის ქალაქის გამგეობას, რომ ამ ჟამად შინჯავენ დებულებას გიმნაზიებზე და თუ პროგიმნაზიების სრული გადაკეთება მოხდა, მაშინ ქალაქის შუამდგომლობა ავლაბარში პროგიმნაზიის **დაარსების შესახებ** შეწყნარებული არ იქნება. ამისათვის, საქმე რომ არ შეფერხდეს, მზრუნველი წინადადებას აძლევს ქალაქის გამგეობას, თავის შუამდგომლობაში ჩაუმატოს, რომ, უკეთუ პროგიმნაზიები გაუქმებულნი იქნებიან, ნება მიეცეთ, გახსნან ისეთი სასწავლებელი, როგორითაც შეცვლილი იქნება პროგიმნაზიები.

◆ 13 მარტს ტფილისის სამოსამართლო პალატაში გაირჩა ცნობილი საქმე, რომლითაც **ზ. ნასირზეგოვი ედავებოდა** ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ მამულო ბანკს გირავნობის ფურცლების 39,600., რომელიც აიღო ბანკის დირექტორად ნამყოფმა ბაქოში პ. რ. ყიფიანმა საკომისიოდ. პალატამ დააკმაყოფილა მომჩივანი („ნოვ. ობოზრ.“)

◆ გუშინ, 17 მარტს, ტფილისის ქალაქის საბჭოს დარბაზში შესდგა საზოგადო კრება ტფილისის საურთიერთო ცეცხლისაგან დამზღვევ საზოგადოების წევრთა რამდენისამე საქმეების განსახილველად. სხვა-და-სხვა საქმეების განხილვის შემდეგ კრება შეუდგა არჩევანს გამგეობის ერთის წევრისა და მის კანდიდატებისას. კენჭის ყრით გამგეობის წევრად ამორჩეულ იქმნა ისევ ვ. პ. კონდურალოვი, რომელსაც ამოუვიდა 80 თეთრი კენჭი და 25 შავი; გამგეობის წევრთა კანდიდატებად—ტერ-მიქელოვი (69 ხმით წინააღმდეგ 20 ხმ.) და ი. პ. მარკოზოვი (74—14); არქიტექტორად 79 ხმით ამორჩეულ იქმნა ინჟინერი სარქისიანი. სარევიზიო კომისიის წევრებად—ბ. გამაზოვი (75—13) და გ. ი. თამამშევი (75—14), ხოლო სარევიზიო კომისიის წევრების კანდიდატებად კ. ზ. მამულოვი (80 ხმ.) და თავ. ბებუთოვი (71 ხმ.).

◆ შაბათს, 16 მარტის სხდომაზედ კავკასიის სასოფლო სამეურნეო საზოგადოების საბჭომ განიხილა საკითხი კახეთში საუფლისწულო მამულების დაახლოვებით სეტყვასთან საბრძოლ მანქანების დადგმის შესახებ და გარდასწყვიტა ამ საქმის შესახები თვისი დადგენილება წარუდგინოს სამეურნეო საზოგადოების წევრთა საზოგადო კრებას, რომელიც დაინიშნა ხვალ, 19 მარტს, საღამოს 8 საათზე. ამ დღეს საზოგადო კრებას წარედგინება აგრეთვე მოხსენება საზოგადოების ბიუროს მმართველად, თ. ანდრონიკაშვილის მაგიერ, ბ-ნ პ. ი. ყიფიანის დანიშვნის შესახებ.

◆ ტფილისის ქალაქის საბჭოს დღეს, 18 მარტს, მორიგს კრებაზედ განსახილველად აქვს ძველი და ახალი საქმეები სულ 16-მდე.

◆ ტფილისის ცეცხლისაგან საურთიერთო დამხმარებელ საზოგადოების წევრთა კრებამ გუშინ, სხვათა შორის, ლაპარაკი იქონია საზოგადოების გამგეობის ორის დირექტორისათვის 350 მან. ყოველ წლიურ ჯამაგირზე მომატების შესახებ. კარგა ხანს კამათის შემდეგ, კრებამ 62 ხმით გარდასწყვიტა მიემატოს დირექტორებს ყოველ წლიურ ჯამაგირზე ამ წლიდან 350 მან. თითოს.

◆ შაბათს, 16 მარტს, ავჭალის სახალხო წარმოდგენების სადგომში ქართული სცენის მოყვარეებმა წარმოადგინეს სუნდუკიანცის კომედია „დაქცეული ოჯახი“. წარმოდგენას, ჩვეულებრივ, ძალიან ბევრი ხალხი დაესწრო.

◆ ტფილისის ცხენის რკინის გზის გამგეობას გარდაუწყვეტია ნიკოლოოზის ხიდზე თვისი გასაკეთებელი გზის შეკეთება, რისთვისაც ცხენის რკინის გზის წარმომადგენელმა სთხოვა გუშინ-წინ ქალაქის გამგეობას, ნება მოგვეცით აღნიშნულ გზის შეკეთებისა, რადგანაც იგი ძალიან დაძველდაო.

◆ „ივერია“-ს ატყობინებენ სოფელ **ქოლობნიდან:** „რამდენიმე თვის წინად აქაურმა მცხოვრებლებმა ითხოვეს „შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობის“ წესდების დამტკიცება. წესდება მალე დაამტკიცეს და გამოგვიგზავნეს. იგი მიიღეს სოფლის სამმართველოში, მიიწვიეს მხოლოდ გლეხობა თებერვლის 18-ს დანიშნულს კრებაზე, რომელზედაც გადასწყვიტეს: „თავად-აზნაურნი არ იქმნან მიღებულნი ამხანაგად, რადგან ქონებრივი მათი მდგომარეობა არ არის საიმედოდ ცნობილი და ვიდრე არ გავიგებთ იმათს ქონებრივ შეძლებას, მათი ამხანაგებად მიღება შეუძლებელიაო!“

◆ ტფილისის გუბერნიის სახელმწიფო ქსენონებში წარსულ იანვრის თვის განმავლობაში უსარგებლიათ საექიმო დახმარებით: სოფელ საგარეჯოს (ტფ. მაზრა)—863 ავადმყოფს. მათ შორის 408 კაცს, 342 ქალს და 271 უმაწვილს; სოფელ ახალ-გორის (დუშეთის მაზრა)—379 ავადმყოფს, მათ შორის 272 კაცს, 75 ქალს და 113 უმაწვილს; სოფელ ახმეტის (თიანეთის მაზრა) 414 ავადმყოფს, 189 კაცს, 110 ქალს და 115 უმაწვილს; სოფელ ენისელის (თელავის მაზრა) 716 ავადმყოფს, 106 კაცს, 187 ქალს და 240 უმაწვილს; სოფელ ეკატერინენფელდის (ბორჩალოს მაზრა) 511 ავადმყოფს,—342 კაცს, 122 ქალს და 139 უმაწვილს; სოფელ აწყურის, (ახალციხის მაზრა) 485 ავადმყოფს—194 კაცს, 871 ქალს და 204 უმაწვილს; სოფელ ბარალეთის (ახალქალაქის მაზრა) 289 ავადმყოფს—185 კაცს. 27 ქალს 77 უმაწვილს; სოფელ ქოდალოს (სიღნაღის მაზრა) 646 ავადმყოფს, და ცხინვალის (გორის მაზრა) 463 ავადმყოფს.

კერძო ქსენონებში: სოფელ მარტყოფის (ტფილისის მაზრა) 352 ავადმყოფს; სოფელ ანაგას, 817 ავადმყოფს, სოფელ ქვემო მაჩხაანის 1022 ავადმყოფს (ორივე სიღნაღის მაზრისა). სოფელ ავლევის (გორის მაზრა) 696 ავადმყოფს, ქალაქ გორის 22 ავადმყოფს.

✦ გორის მაზრის ქვემო ხსენებულ სოფლებში ამ ცოტა ხნის განმავლობაში გამხდარან ავად სხვა-და-სხვა ავადმყოფობით: სოფ. ცუნარში გამხდარან 4 მუცელათი; სოფ. ციხიათში 8 ხუნაგით, სოფ. ვარდისუბანში 9 ყვავილით, მათ შორის 7 მორჩენილა; სოფ. ახალდაბაში 11 ყვავილით, მათ შორის 5 გარდაცვლილა, ხუთიც მორჩენილა.

წერილი ყარსიდან

(ვ. აბაშიძის იუბილეის დღესასწაული)

10 მარტს, ჩვენის უნიჭიერესის მსახიობის ვ. აბაშიძის 25 წლის მოღვაწეობის იუბილეი ყარსის ქართველებმაც იდღესასწაულეს. სადამოს $8\frac{1}{2}$ საათზედ სამოქალაქო კლუბის დარბაზში შეიკრიბა საზოგადოება და გაგზავნილ იქმნა იუბილიართან მისალოცი დეპეშა. 9 საათი იქნებოდა, როდესაც აიხადა სცენის ფარდა და გამოჩნდა პატივცემულის არტისტის ვ. აბაშიძის დიდი სურათი, შემკული მშვენიერის ყვავილების გვირგვინით, რომელსაც გარს ერტყა ნაციონალურს ტანისამოსში გამოწყობილი ქართულ სცენის მოყვარეთა გუნდი. თ. ი. ჯანდიერმა წარმოსთქვა ვ. აბაშიძის ბიოგრაფია და განუმარტა საზოგადოებას მისი მოღვაწეობა როგორც ქართულ სცენაზედ, ისე სალიტერატურო ასპარეზზედ. საზოგადოება ვაშას ძახილითა და ტაშის ცემით მიეგება.

შემდეგ ამისა წარმოდგენილ იქმნა „მათიკოდან“ მესამე მოქმედება და „თინბაზი“ ა. ცაგარლისა; სადამო ქართული სიმღერებით დამთავრდა. მონაწილეობას იღებდნენ სამოქალაქო სასწავლებლის ქართველი მასწავლებელნი და სხ. აქაური ქართველები, მათ შორის იღებდა მონაწილეობას ქართული სცენის მოყვარე მ. ლ. გიკნაძისა, რომელსაც თავის მოხდენილის თამაშობით ბევრჯელ დაუტკბია აქაური ქართველი საზოგადოება.

საზოგადოება ბევრი აცინა აგრეთვე ა. ნინიაშვილმა, რომელიც ორსავე მოქმედებაში სოფხის როლს ასრულებდა; არც სხვები იყვნენ ურიგონი თავ-თავის როლში. საზოგადოთ, კარგად ჩაიარა როგორც წარმოდგენამ, აგრეთვე სიმღერებმაც; საზოგადოება ნასიამოვნები და კმაყოფილი დარჩა.

შემოსავალი, რომლის რაოდენობა ჯერ არ არის გამორკვეული, დანიშნული იყო წ. კ. გამ. საზოგადოებისა და დრამატიულ საზოგადოების სასარგებლოდ.

წერილი ალაგირიდან

(ალაგირელთა თხოვნა)

მგონი, გაზეთ „ცნობის ფურც“-ლის მკითხველებს კიდეც მოვაბეზრეთ თავი ჩვენის წერილებითა და თხოვნით ალაგირის ქართულის სკოლის შესახებ, მაგრამ რა ვქნათ, ხომ მოგეხსენებათ ანდაზა: „ბალღი თუ არა იტირებს, ძუძუს არა მისცემენო“. ამიტომ ეხლაც გვსურს მივაქციოთ ქართველი საზოგადოების ყურადღება ერთს საყურადღებო საქმეს. აქაურს ქართულს სკოლაში დღეს მოწაფეთა რიცხვი საკმაოა, მაგრამ რა გამოვიდა. ისწავლიან წერა-კითხვას და როცა გავლენ სკოლიდან, თუ სადმე მიაბარეს სასწავლებელში სხვაგან, ხომ კარგი, თორემ წერა-კითხვას თან-და-თან ივიწყებენ. მიზეზი ამისა ის გახლავთ, რომ არა აქვთ გონების სავარჯიშოდ წიგნები და მოპოებაც ძნელია, რადგანაც ქალაქები შორს არის ამ სოფლიდან და სრულიად მოწყვეტილია იგი საქართველოდანაც. საქართველოს სხვა კუთხეებში სკოლებიც ხშირია და წიგნთ-საცავებიც ბევრგან არსებობს, აქ-კი, ჩვენს ჩამორჩენილს ქართველებს, 250 ვერსტის სივრცეზე მოშორებულებს სამშობლოდან, გვაქვს ერთად-ერთი ქართული სკოლა. წიგნთ-საცავის ხსენებაც არ არის აქ, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ალაგირის რუსთ ინტელიგენციის მიერ ეხლახან დაარსებულ სამკითხველოს, სადაც აქაურს ქართველებს წიგნებით სარგებლობა არა შეუძლიანთ, ჯერ იმისვის, რომ იქ აქვთ გამოწერილი რუსული ჟურნალ-გაზეთები და წიგნები, და მეორეც, რადგანაც მკითხველთაგან მეტად დიდ ფასებს იღებენ, არ არის ხელმისაწვდომი მდაბიო ხალხისთვის. ჩვენს სკოლასთან არსებობს წიგნთ-საცავი, მაგრამ ის მეტად ღარიბია, გარდა (სახელმძღვანელოებისა), ძველის წლის „ივერიისა“ და „მოამბის“ და რამდენიმე წიგნაკისა, არა მოგვეპოება-რა. ასეთი მცირე რიცხვი წიგნებისა ვერ აკმაყოფილებს მკითხველების სურვილს, რადგანაც ქართული წერა კითხვის მცოდნე საკმაოდ ბევრია. წარსულს წელს გვეწვდიდა საკითხავად „ცნობის ფურცელს“. ბ. სხ—ძე, რომელსაც თავისთვის ჰქონდა დაკვეთილი, წელს-კი ესევე გაზეთი გამოუწერა სკოლას ბ-ნმა მეტრეველმა. ამ გვარად წელს სკოლის სახელზედ მხოლოდ ერთი გაზეთი მოდის და ვართ იმედ-გადაწყვეტილნი, რომ სხვა ჟურნალ-გაზეთის გამოწერა არ ძალ-გვიძს, რადგანაც ამ ჟამად ფულის შეგროვება მოუხერხებელია. ხალხი ჯერ იმდენად არ განვითარებულა, რომ ჟურნალ-გაზეთების და წიგნების შეძენა არსებითი საგნად გადაქცეოდეს.

ამისთვის ვისაც ალაგირელი ქართველების და მათი მომავლის სვე-ბედი გაუთვალისწინებია, სამშობლოდან გარდმოხვეწილის და მდაბიო ხალხისთვის გული შესტკივა, ვთხოვთ ყველას და იმედია, ამ საქმისთვის არც ფულს და არც წიგნებს არ დაიშურებენ, შეძლებისა გვარად; უკანასკნელ კიდევ მივმართავ და ვთხოვ ჩვენს რედაქციებს, მწერლებს, წიგნების გამომცემლებს და იმათ, ვისაც სახლში მეტი წიგნი მოეპოება, მოგვაწოდონ ან ჩვენ და ან „ცნობის ფურცლის“ რედაქციას, სადაც უკვე **იკრიბება** და ჰგზავნიან შემოწირულებას ჩვენის სკოლის სასარგებლოდ.

მასწავლებელი პ. ლომთათიძე.

წერილი სამტრედიიდან

(შემნახველ-გამსესხებელი კასსა)

ჩვენს დაბაში აგერ მესამე წელიწადია, რაც არსებობს შემნახველ-გამსესხებელი ამხანაგობა, რომელშიაც 250 წევრი ითვლება. კვირას, სამს მარტს, მოწვეული იყო ამხანაგობის კრება, რომელიც შესდგა ბ.—ა. მკურნალის თავმჯდომარეობით. ამხანაგობის ანგარიშიდან სჩანს, რომ წილის ფული, ე. ი. პაისა, ამა წლის პირველ იანვრისათვის კასსაში ყოფილა 10,930 მან., მობარებული ფული 1,0030 მან., სარგებლით გაცემული—23,480 მან., სათადარიგო თანხა ყოფილა—339 მ. 54 კ.; ნაღდ ფულად კასსაში—1096 მან. 13 კ. ავეჯი, კასსა და სხვა 253 მ. 55 კ. ღირებულობისა; წვრილად შემოსული 3,477 მან. გასავალი 208 მან. 66 კ.

როგორც ანგარიში გვიჩვენებს, ამხანაგებს კასსის დაარსებიდან არ გაუტანიათ მოგება, რომელიც შეადგენს 3,699 მან. 91 კაპ. კრებაზე კამათი ადიძრა სწორედ ამ მოგების თაობაზე: რა რიგად მოქცეულიყვნენ—გაეტანათ ეს ფული, თუ რომელიმე საამხანაგო საქმისათვის გადადებულიყო. რამოდენიმე წევრი იმ აზრისა იყო, რომ ამ ფულით ეყიდათ კასსისათვის საკუთარი სახლი ან მიწა, რომ სამერმისოდ კასსა უზრუნველყოფილიყო შენობით; ზოგი კი იმ აზრისა იყო, რომ წევრებს გაეტანათ თვისი ხვედრი მოგებისა. დიდის კამათის შემდეგ, უმრავლესობამ გადასწყვიტა, რომ წევრებმა თავიანთი წილი მოგებისა გაიტანონ.

ბ. მახარაძემ გაასხენა საზოგადოებას ის უბედურება, რომელიც შემახას ეწვია, და სთხოვა საზოგადოებას—შემწეობა აღმოუჩინეთ დაზარალებულთაო; საზოგადოებამ გადასწყვიტა, შემახელთ გაეგზავნოს მოგებიდან 50 მან. შემდეგ ამხანაგობამ დაადგინა, რომ გამგეობამ ისესხოს რომელიმე ბანკიდან ამხანაგობის მოქმედების გაძლიერებისათვის 10.000 მანეთი.

დასასრულ კრებამ აირჩია სარევიზიო კომისიის წევრებად ბ. მ. პ. კანდელაკი ბ. კ. მკურნალი და ი. ქართველიშვილი; ხოლო გამგეობის მოხელეთ სთხოვეს კიდევ ერთის წლით დარჩენა.

დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

16 მარტი

პეტერბურგი. გზათა მინისტრის ამხანაგი მიასოედოვ-ივანოვი პეტერბურგში დაბრუნდა.

ხარკოვის სამოსწავლო ოლქის მზრუნველი ალექსეენკო პეტერბურგში მოვიდა.

19 მარტს კომისია შეუდგება დაბალი სკოლის გადაკეთების საქმეს.

ალექსანდროვსკის ფოლადის ჩამოსასხმელ ქარხნის აქციონერთა კრებამ უარჰყო სახელმწიფო ბანკის წინადადება საზოგადოების აქციების შეძენის გამო ოც-ოც მანეთად და დაადგინა ამოირჩიოს სალიკვიდაციო კომისია.

ვარშავა. საფაბრიკო ჰიგიენის განყოფილების წევრთა კრებაზე გადაშინჯულ იქმნა მოხსენება ჰიგიენის წინააღმდეგ პირობების შესახებ, რომლებშიაც ქალები მუშაობენ. დაადგინეს, შესდგეს კომისია, რათა შეიმუშაოს სავალდებულო წესდებანი ფაბრიკებში და სახელოსნო ქარხნებში.

სარატოვი. გუბერნატორმა გამოსცა დადგენილებანი, რომლითაც ეკრძალებათ ქუჩებში მაგარი სასმელების სმა გუბერნიის ყველა ქალაქებში.

ყაზანი. გუბერნატორმა ნება დართო ხუთ მაზრაში გამართონ სახალხო კითხვები მედიცინიდან, ჰიგიენიდან, ბეითლობიდან და საქონლის მოშენებიდან. წამკითხველები—ერობის ბეითლები არიან.

იურიევი. უკანასკნელად გამოცხადებულის ცნობებით, ლიფლიანდიის გუბერნიაში კეთროვნებით ავად ყოფილა 862 კაცი, ამათგან 147 რიგაში და 20 იურიევში.

სამარა. ნება დაერთო სამარაში გაიხსნას საშუალო საკომერციო სასწავლებელი, რომელიც შემოდგომაზე გაიხსნება.

სიმფეროპოლი. აქ ორი სადამო გაიმართა შემახელთა სასარგებლოდ.

ნოვგოროდი. დაბების მამასახლისებმა დღესასწაული გაუმართეს გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლს თავად გოლიცინს თხუთმეტი წლის სამსახურის გამო მაზრის წინამძღოლად.

განოვერი. გარდაიცვალა ელჩად ნამყოფი თავადი მიუნსტერი.

პარიჟი. აქ მოვიდა ლორდი როზბერი და ამან გამოიწვია ის ხმა, ვითომ იმას განზრახვა აქვს მოელაპარაკოს აქავე ბოსულს ლეიდს. როზბერიმ დაავალა გაზეთ „პტი პარიზიენ“-ის თანამშრომელს, ეს ხმა დაარღვიოს. როზბერი მხოლოდ ნეაპოლში გავლით მოვიდა აქა.

პარიზი. ეკონომიური ჟურნალები ამტკიცებენ პარიზის მწერლობაში გამოთქმულ აზრს რუსეთის ახალი სესხის შესახებ.

ოდესა. მოსავალი ხერსონისა, ოდესისა და ანანიევის მაზრებში და ტობოლის გუბერნიაში—კარგია.

ხარკოვი. გაკოტრებულ სავაჭრო ბანკის დანაკლისი უდრის 8,000,000 მანეთს.

კიევი. სწორე ნაოსნობა დაიწყო.—შემოდგომაზე გაიხსნება სახელოვნო-სამრეწველო სასწავლებელი იმ 200,000 მან. თანხით, რომელიც ტერეშჩენკომ შესწირა.

ვოლოგდა. გუბერნიის მარშლად ამოირჩიეს ორი კანდიდატი—ენდაუროვი და ანდრეევი. პირველმა მეტი კენჭი მიიღო.

კონსტანტინეპოლი. რუსეთის ელჩი ზინოვიევი დღეს მიიღო სულთანმა სანახავად.

ვენა. „ფრემდენბლატი“ ჰკიცხავს სარაფოვის აგიტაციას მაკედონიაში. ავსტრ-უნგრეთს და რუსეთს სურთ მხარი დაუჭირონ მშვიდობიანობას. ბოლგარიის მთავრობა უნდა შეეცადოს, რომ მაკედონიაში შეტანილი არ იყოს ასანთები მასალა და რომ ოსმალეთმა შემოიღოს მაკედონიაში საჭირო რეფორმები.

ამაღელვებელი ამბების გამო, რომლებსაც საბანკო დაწესებულებანი ავრცელებენ, ძალიან დაამშვიდა ხალხი, რომ ავსტრიამ და რუსეთმა მიმართეს ბოლგარიის მთავრობას მტკიცე წინადადებებით 1897 წლის შეთანხმების გვარად, შესახებ მაკედონელთა კომიტეტისა.

პეტერბურგი. დღეს, 16 მარტს, შესდგა, საცდელი ჯარის მოწვევა მისი უდიდებულესობის ლეიბ-გვარდიის გუსარის პოლკისა. პოლკი მოვიდა პეტერბურგში ჩინებულს მდგომარეობაში. დიდმა მთავარმა ვლადიმირ ალექსანდრეს ძემ თავის წინ გაატარა პოლკი სასახლის წყლის პირა ქუჩაზე.

15 მარტს ხელოვნურ ნაწარმოებთა გამოფენის სადგომში პატრიოტულ საზოგადოების სკოლის სასარგებლოდ კონცერტი გაიმართა, რომელსაც დაესწრენ მათი უდიდებულესობანი და იმპერატორის საგვარეულო პირნი.

17 მარტი.

პეტერბურგი. ბერლინში მყოფმა ფინანსთა სამინისტროს აგენტმა მოხსენება წარმოადგინა იმის შესახებ, რომ მისთვის მიუმართავს გერმანიის ერთს სავაჭრო ფირმას, რომელიც ფრინველით, თევზეულითა და ნანადირევით ვაჭრობს, რომ მაჩვენეთ რუსეთში ისეთი საიმედო სავაჭრო ფირმები, რომელთაც შეეძლოთ გერმანიაში ამ საქონლის გამოგზავნაო. ვისაც სურს მიიღოს ეს წინადადება, მან ადრესი უნდა გაუგზავნოს ბერლინში მყოფ რუსეთის ფინანსთა მინისტრის აგენტს.

✦ შინად-მრეწველობის მოღვაწეთა კრებამ დაადგინა იშუამდგომლოს, რომ ერობათ და სამეურნეო საზოგადოებათ ნება მიეცეთ უბაჟოთ შემოიტანონ საზღვარ-გარეთიდან თუჯი, რკინა, ფოლადი და ტყვია შინა მრეწველთათვის მისასყიდად.

დღეს დასრულდა საპატიმროთა მოღვაწეების კრება.

პარიჟი. სენატმა დაამტკიცა ბიუჯეტის პროექტი მცირედენის ცვლილებით. მთავრობამ პალატას წარუდგინა კანონ-პროექტი, რომლითაც მტკიცდება ბრიუსელის საშაქრო კონვენცია და იცვლება საფრანგეთის კანონი შაქრის შესახებ.

ლონდონი. გამოცხადებულ ანგარიშიდან სჩანს, რომ ინგლისელებს 13 მარტს მომხდარ ბრძოლაში, მდინარე რენოსტერის ხეობაში, ბურებმა მოუკლეს 8 კაცი, მათ შორის ერთი პორუჩიკი, დაუჭრეს 8 კაცი, მათ შორის ერთი კაპიტანი, და 28 დაუტყვევეს. უკანასკნელნი ბურებმა მალე გაანთავისუფლეს. 11 მარტის ბრძოლაში ბურებმა დასჭრეს 6 კაცი კაპის საპოლიციო ჯარისა, მათგან ერთი უკვე გარდაიცვალა. მენტესნეკთან 14 მარტს მძიმედ დასჭრეს ამხედრებულის ქვეითა ჯარის კაპიტანი და 3 ჯარის-კაცი.

კალუგა. ქალაქის საბჭომ დაადგინა იშუამდგომლოს მთავრობის წინაშე, რომ მიეცეს მას 50,000 მან. სესხად ქალაქის სასწავლებელთა ოთხის შენობის ასაგებად.

სოფია. „ბულგარიის სააგენტო“ იტყობინება: „ამბავი, ვითომც სარაფოვი ბულგარიაში და ოსმალეთთან საბრძოლველად ჯარს აგროვებსო, სიცრუეა. მთავრობა ირწმუნება, რომ გადაწყვეტილი აქვს დაიცვას წესიერება და მშვიდობიანობა“.

ჰავრი. ნიუ-იორკიდან ჩამოვიდნენ ბურების დელეგატები ვოლმარანსი, ვესელსი და ბრუიენსი, რომელნიც პარიზისაკენ გაემგზავრნენ.

რომი. როგორც სჩანს, გერმანიის კანცლერისა და იტალიის მინისტრის პრინეტის შუა მოლაპარაკებას კავშირის შესახებ საბოლოო ხასიათი არა ჰქონია, თუმცა შეთანხმება მომხდარა.

პეტერბურგის ბირჟა 15 მარტს

ვექსილის კურსი 6 თვით:

ლონდონზე 10 გირვ. სტ.—ში	94,00	
ბერლინზე 100 მარკაში	—	
პარიზზე 100 ფრანკში	—	
ლონდონზე ჩეკები	94,70	
ბერლინზე „	46,30	
პარიზზე „	37,65	
ბირჟის დისკონტი	$4\frac{1}{2}$—$6\frac{1}{2}$%	
4% სახელმწიფო რენტა	$96\frac{5}{8}$	გაყიდ.
$4\frac{1}{2}$% შინაგანი სესხი 1893 წ.	$98\frac{3}{4}$	„
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ.-მამ. ბანკისა	—	
5% 1-ლ შინაგან სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	$469\frac{1}{2}$	„
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	$364\frac{3}{4}$	„
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა	$307\frac{1}{2}$	„
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	—	
$4\frac{1}{2}$% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	—	
ტფილ. საადგილ-მამ. ბანკის 5% გირავნ. ფურც.	$89\frac{1}{8}$	„
$4\frac{1}{2}$% გირავნობის ფურც. იმავე ბანკისა	—	
ქუთაისის საადგილ-მამ. ბანკის 6% გირ. ფურც.	—	
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა.	—	

გამომც. და დრ. რედაქტორი ალ. ჯაბადარი.

განცხადებანი

ცინკოგრაფია
წიგნებ. გამომც. ქართველთა ამხანაგობისა
ვანქის დიდი ქუჩა, № 27, ტელეფონი № 372.
კლიშეების გაკეთება შეიძლება ფოტოგრაფიული სურათებიდან და ხელით ნახატებიდან.

ქალთა ამხანაგობის სამკერვალოში მიიღებენ ყოველ გვარ
საკერავს:
კაბებს, წამოსასხამებს საცვლებს და საცვლებზედ ნიშნებს, (მეტკებს).
ბარონის ქუჩა, № 12 (10—10)

Дозволено цензурою Тифлисъ, 17 Марта 1902 года. ელექტრონით მბეჭდავი სტამბა წიგნების გამომც. ქართვ. ამხანაგობისა.